<u>დანართი №1</u>

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის სერტიფიკატის გაცემის წესი

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებში მონაწილეობისა და ამ აქტის მე-2 პუნქტით დამტკიცებული ქულობრივი ზღვრების დაძლევის დამადასტურებელ დოკუმენტად განისაზღვროს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯომარის, სასწავლო ცენტრის დირექტორისა და პარტნიორი ან/და დონორი ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელმძღვანელის/უფლებამოსილი პირის ხელმოწერით დადასტურებული სერტიფიკატი.
2. დამტკიცდეს სერთიფიკატის სამი კატეგორია, შეფასების 100 ქულიანი სისტემის პირობებში, მსმენელის მოსწრების შესაბამისად:
   2.1. „წარმატებით ჩააბარა ტესტირება“ – 90%-ისა და მეტის დაძლევის შემთხვევაში;
   2.2. „კარგად ჩააბარა ტესტირება“ – 60%-დან 90%-მდე დაძლევის შემთხვევაში;
   2.3. „დამაკმაყოფილებლად ჩააბარა ტესტირება“ – 40%-დან 60%-მდე დაძლევის შემთხვევაში.
3. მსმენელის სერტიფიცირება მოხდეს სწავლების წინ (პრე-ტესტი) და სწავლების ბოლოს (პოსტ-ტესტი) ჩატარებული ტესტირების შემდგომ.
4. სერტიფიკატი არ გაიცეს მსმენელზე, რომელიც შეფასების 100 ქულიანი სისტემის პირობებში, დააგროვებს ქულების არაუმეტეს 40%-ისა.
5. მსმენელის მოსწრების თაობაზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა, ოფიციალური კორესპონდენციითა ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, აცნობონ შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელს/ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელს.
6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის მიერ გაცემულ სერტიფიკატში წარმოდგენილი იქნეს შემდეგი ინფორმაცია:
   6.1. სერტიფიკატის გამცემი ორგანიზაციის სახელწოდება და ლოგოტიპი;
   6.2. პარტნიორი ან/და დონორი ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელწოდება;
   6.3. სასწავლო მოდულის დასახელება და თემატური დეტალიზება, მოდულის სპეციფიკისა და შინაარსის გათვალისწინებით;
   6.4. გავლილი საათების რაოდენობა;
   6.5. გაცემის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);
   6.6. ჩატარების ადგილი;
   6.7. საიდენტიფიკაციო ნომერი;
   6.8. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის დირექტორის, პარტნიორი ან/და დონორი ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელმძღვანელის/უფლებამოსილი პირის ხელმოწერები.
7. სერტიფიკატის საიდენტიფიკაციო ნომერი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:
   7.1. სერტიფიკატის სერია „SPA“;
   7.2. „მონაწილის“ აღმნიშვნელი ასო-ბგერა „მ“;
   7.3. უწყვეტი რიგითობის ნომერი შემდგარი 5 ციფრისგან, რომლის პირველი ციფრი განსაზღვრავს სერტიფიკატის კატეგორიას. მაგ.: №SPA /მ -10001 „წარმატებით ჩააბარა

ტესტირება“; №SPA/მ – 20001 „კარგად ჩააბარა ტესტირება“; № SPA / მ – 30001 „დამაკმაყოფილებლად ჩააბარა ტესტირება“.

8. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის ტრენერებზე, მათი მოთხოვნის შესაბამისად, გაიცეს ტრენერად მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, შემდეგი რეკვიზიტებით:

8.1. სერტიფიკატის გამცემი ორგანიზაციის სახელწოდება და ლოგოტიპი;

8.2. სერია „SPA“;

8.3. „ტრენერის“ აღმნიშვნელი ასო-ბგერა “ტ“;

8.4. უწყვეტი რიგითობის ნომერი, შემდგარი 3 ციფრისგან. მაგ.: № SPA /ტ – 001;

8.5. ჩატარებული სასწავლო მოდულის დასახელება;

8.6. ჩატარებული საათების რაოდენობა;

8.7. გაცემის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

8.8. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯომარისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის დირექტორის ხელმოწერები.

9. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის მიერ, ტესტირების გარეშე ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებში, სემინარებში, კონფერენციებსა და მრგვალ მაგიდებში მონაწილე მსმენელს გადაეცეს ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომელშიც წარმოდგენილი იქნეს შემდეგი ინფორმაცია:

9.1. სერტიფიკატის გამცემი ორგანიზაციის სახელწოდება და ლოგოტიპი;

9.2. პარტნიორი ან/და დონორი ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელწოდება და ლოგოტიპი;

9.3. ღონისძიების დასახელება;

9.4. გაცემის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

9.5. ჩატარების ადგილი;

9.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯომარის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის დირექტორისა და პარტნიორი ან/და დონორი ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელმძღვანელის /უფლებამოსილი პირის ხელმოწერები.